



**გენერული  
მმართველნი**

ვახტანგ ჭანკოტაძე

# **გენერალი მმართველნი**

თბილისი  
2008

წიგნი ეძღვნება ორჯანსკვნიანი  
გენერლის, დევი ქანკოვადის  
ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

**რედაქტორები:** აკაკი ბიძინაშვილი, ვაჟა შიუკაშვილი  
**ფოტო (უკანა ყდაზე) მამუკა ეგნაგაშვილისა**

ISBN 978-9941-0-0756-9



„...თავისუფლება ღღეს ჩვენი,  
მოგავალს უმღერს დიდებას...“

ოცდაათი საუკუნის განმავლობაში ებრძოდა ქართველობა ათასი ჯურის დამპყრობელს.

იყო ბრწყინვალე გამარჯვებები და სამწუხაროდ, არაერთი დასანანი მარცხიც, მაგრამ ქართველი მეომრების სიმამაცისა და თავგანწირულობის, ასევე თანდაყოლილი ნიჭისა და გამჭრიახობის წყალობით – საქართველო არაერთხელ გადაურჩა სრულ ფიზიკურ განადგურებას და გამუდმებული ბრძოლების გზით მოვიდა დღემდე.

მოსახლეობის რაოდენობით ყოველთვის მცირე ჩვენმა ქვეყანამ, მრავალი სახელოვანი გამარჯვების ფურცელი ჩაწერა საბრძოლო ისტორიაში.

ქართველი რიგითი მეომრებისათვის და მაღალი რანგის ოფიცრებისათვის დამახასიათებელი იყო მხედრული გამბედაობა, გმირობა, ერთგულება და გონივრული სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება, რაც გენეტიკურად გადაეცემოდა სახელოვანი წინაპრებისაგან მომავალ თაობებს.

ბოლო სამასი წლის განმავლობაში ქართველმა რიგითებმა თუ მხედართმთავრებმა, დამსახურებულად მოიპოვეს ყველა ის სამხედრო წოდება და ჯილდო რაც კი არსებობდა საქართველოში, რუსეთის იმპერიაში და ყოფილ საბჭოთა კავშირში: რიგითი ჯარისკაცებიდან – გენერალ-სიმუსამდე, „სიმამაცისათვის“ მედლიდან – „გამარჯვების“ ორდენამდე და „გმირის მედლამდე“

1700 წლის 19 მაისი ქართველთა საბრძოლო ისტორიაში შევიდა, როგორც ქართული გენერალიტეტის დაბადების თარიღი. ამ დღეს, რუსეთის მეფემ, პეტრე პირველმა, ქართველთაგან პირველს, ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს მიანიჭა გენერლის წოდება.

მას შემდეგ, ჩვენმა მაღლიანმა მიწა-წყალმა, შვა და

აღზარდა არაერთი მაღალი წოდების სამხედრო პირი, მათ შორის ყველა არსებული საფეხურის გენერალი, ასევე ადმირალები და მარშლები. მარტო ნაპოლეონის წინააღმდეგ იბრძოდა ათზე მეტი ქართველი გენერალი.

საამაყო და ნაწილობრივ დასანანი, რომ ბედის უკუღმართობის გამო იძულებით ემიგრაციაში მყოფი ქართველი გენერლები – ხშირად იბრძოდნენ ჩვენთვის უცხო ქვეყნების ინტერესების დასაცავად. სად არ იბრძოდნენ ისინი: პოლონეთში, რუსეთში, თურქეთში, სპარსეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი.

ქართული გენერალიტეტის მაღალი პროფესიული დონე, გენერლების ნიჭიერება და მხედრული სიმამაცე – ეს ის ფენომენია, რომლითაც მუდამ ამაყობდა საქართველო, ქართველი ხალხი.

საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე (1918-1921) და ახლაც (1989 წლიდან) ქართველი ხალხი დიდ როლს ანიჭებს ქართული გენერალიტეტის ჩამოყალიბებისა და სრულყოფის ეროვნულ პრობლემას. განსაკუთრებული სიმწვავეით ხასიათდება ეს საკითხი დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა ადგას დემოკრატიული აღმშენებლობისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვების ურთულეს გზას, როდესაც მოსაგვარებელია ეროვნული ღირსების უმთავრესი და უმტკივნეულესი პრობლემა, რასაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია.

ბანალური ჭეშმარიტებაა ის, რომ ქართული გენერალიტეტის მოღვაწეობა დაფუძნებული უნდა იყოს თანამედროვე სამხედრო მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე არმიების პრაქტიკულ და ისტორიულ გამოცდილებაზე.

## საწყისებთან

*„ვაჟაცსა გული რკინისა,  
აბჯარი თუნდა ხისაო“*

გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლებს, ვახტანგ ჭანკოტაძეს და ირინა ვარძიგულოვას ენატრებოდათ პირველი შვილის მოვლინება. ისინი კეთილი შურით შესცქეროდნენ მრავალ ბედნიერ მშობელს, როდესაც მათ პატარა ბავშვები მიჰყავდათ ბაგა-ბაღებში თუ სკოლებში.

დევი ჭანკოტაძის მშობლები:

დედა – ირინა ნიკოლოზის ასული ვარძიგულოვა. ინჟინერ-ტექნოლოგი. ოცდაათ წელზე მეტი იმუშავა სამეცნიერო სფეროში სხვადასხვა თანამდებობაზე, ლაბორანტიდან დაწყებული უფროს მეცნიერთანამშრომლის თანამდებობის ჩათვლით. სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა ისეთ სფეროებში, როგორცაა: საკონსერვო, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსებისა და ეთერზეთების წარმოება. ორი წელი იმუშავა მეცნიერმუშაკად საქართველოს მეტროლოგიის კვლევით-სამეცნიერო ცენტრში. ამჟამად პენსიონერი.



**დევის მშობლები - ირინა და ვახტანგი**

მამა – ვახტანგ რევაზის ძე ჭანკოტაძე. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თანამედროვე სტანდარტებით – დოქტორი. ოცდაათამდე წელი იმუშავა კვლევით – სამეცნიერო ინსტიტუტში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა წარმოებაშიც, მთავარ ინჟინრად, დირექტორად და სხვა. ავტორია ათეულობით

სამეცნიერო შრომისა და გამოგონების, ასეულობით პუბლიცისტური წერილის და ათამდე წიგნის. უმაღლესი საოფიცრო განათლებით (არტილერისტი, თადარიგის კაპიტანი), ამჟამად პენსიონერი.

ჭანკოტაძეების ოჯახშიც დადგა ბედნიერების დღე. 1961 წლის 1 სექტემბერს დაიბადა მომავალი გენერალი. მშობლებმა მას დევი დაარქვეს, ეს სახელი მათ ძალიან



**დევი ჯერ ერთი წლისას არ არის**

მოსწონდათ და ოჯახშიც ხშირად საუბრობდნენ მასთან დაკავშირებით, თუ ეს, წარმოშობით ინგლისური ჟღერადობის სახელი, რამდენად ენათესავენოდა ან ემსგავსებოდა ქართულ დათას,

დავითს, დათიკას და ა.შ. (თუმცა ხომ გვყავს ზღაპრებშიც დევი).

ბავშვი დაიბადა, ნორმალურთან შედარებით ოდნავ მძიმე და, როგორც მეანეთა ენაზე ამბობენ – ოდნავ გრძელი.

დაიწყო მშობლებისათვის ყველაზე დატვირთული, მაგრამ მაინც ყველაზე საინტერესო და ძვირფასი დღეები, თვეები და წლები. ბავშვი იყო აბსოლუტურად ჯანმრთელი და შეიძლება ითქვას – მხიარულიც. სახეზე სულმუდამ დასთამაშებდა ღიმილი.

მშობლები ყურადღებას არ აკლებდნენ პირველ ვაჟიშვილს და მისი აღზრდა-განვითარების პროცესიც ნორმალურად მიმდინარეობდა. თანდათან, დღიდან-დღემდე იძერწებოდა სამხედრო ოფიცრის ხასიათი, მაგრამ მანამდე

ჯერ კიდევ შორს იყო.

დევის მშობლები სამსახურით იყვნენ დაკავებულები და რადგან ოჯახში სხვა არავინ ჰყავდათ – პატარა ბიჭი მიიყვანეს ბაგაში, შემდეგ კი ბაღში. აღმოჩნდა, რომ დევი ითხოვდა განსაკუთრებულ, ან, როგორც ხშირად ხმარობენ ხოლმე – ინდივიდუალურ მიდგომას, რაც გარკვეულ სიტუაციებს უქმნიდა ხოლმე საბავშვო ბაღის აღმზრდელებს.



**ძევი – დევი და რეზო. 1971**

დევი გამოირჩეოდა სიცელქით და ძნელად დასაყოლიებელი ხასიათით. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ მან რამდენიმე საბავშვო ბაღში მოასწრო „მოღვაწეობა“.

მერე კი დადგა სასკოლო ასაკი და მასთან ერთად მრავალი ახალი პრობლემა.

იმ დროისათვის (1966-1967) ქ. გორში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ მე-6 სკოლა გამოირჩეოდა კარგი პედაგოგებით, ხარისხიანი სწავლებით და მკაცრი დისციპლინით. დევის მშობლებმაც გადაწყვიტეს, რომ შვილი მიეყვანათ აღნიშნულ სკოლაში. ამ გადაწყვეტილების სასარგებლოდ, მაშინ, გამოიკვეთა კიდევ ერთი მოსაზრება, კერძოდ კი ის, რომ ამ სკოლის დაწყებით კლასებში ასწავლიდა ჭანკოტაძეების ოჯახის ახლობლის, ნოდარ გამდლიშვილის დედა, ქალბატონი ქეთევან ფურცელაძე, რაც



**დავის აიკველი  
მასწავლებელი.  
ქათაპან ფურცელაძე**

გარკვეულწილად გარანტია იყო იმისი, რომ დევის არ მოაკლდებოდა ყურადღება და ზრუნვა.

დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონმა ქეთევანმა ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მან სწორი მიმართულებით წარმართა დევის სწავლებისა და აღზრდის ინდივიდუალური პროცესი – შეაყვარა სწავლა, სიკეთის ქმნა, შთაუნერგა თანატოლებისა და უფროსებისადმი სიყვარული და პატივისცემა, მიცემული სიტყვისადმი ერთგულება, სამშობლოს სიყვარული. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ ქალბატონმა ქეთევანმა, დევის მშობლებთან მხარდამხარ დგომით, შესძლო განესაზღვრა პატარა ბიჭის მომავალი აღზრდა-განათლების ძირითადი მიმართულებები და უწინასწარმეტყველა წარმატებები ტექნიკურ სფეროში. ეს მოსაზრებები მოგვიანებით სრულად დადასტურდა – დევი განსაკუთრებული მონღომებით ეუფლებოდა სასწავლო პროგრამების ტექნიკურ ასპექტებს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალბატონი ქეთევანი ხშირად უსვამდა ხაზს დევის სიცელქეს და ხასიათის სირთულეს, თუმცა იქვე დასძენდა – უნიჭიერესი ბავშვი იყო.

ასეა, თუ ისე ქალბატონი ქეთევან ფურცელაძე იყო ის ადამიანი, რომელმაც სხვა პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად მტკიცე და სწორი საფუძველი ჩაუყარა დევის მომავალ ცხოვრებას და საქმიანობას, მის შრომისუნარიანობას და კაცთმოყვარეობას, მეგობრებისადმი სიყვარულს და საქმისადმი ერთგულებას, ვაჟკაცობას და სიმამაცეს.

ასეთი რთული და საპასუხისმგებლო მისია ეკისრებათ პედაგოგებს და ქალბატონმა ქეთევანმაც ღირსეულად მოიხადა თავისი ვალი.

მეხუთე კლასიდან, ინგლისური ენის შესწავლის დაუქინებული სურვილისა და მოთხოვნის გამო, დევი გადაჰყავთ სასწავლებლად მე-12 სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1978 წელს. ფრიადოსანის ატესტატი არ მიუღია, მაგრამ მისთვის მიმზიდველ და საყვარელ ტექნიკურ დისციპლინებში ყოველთვის ჰქონდა უმაღლესი შეფასება.

დევიმ სკოლაში შეიყვარა ფეხბურთის და კალათბურთის (სიმაღლე უწყობდა ხელს) თამაში, უფრო ადრე კი, მშობლიურ ეზოში, გატაცებული იყო „ომობანათი“.

ამ დროისათვის ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა დევის ხასიათი და შინაგანი ბუნების განმსაზღვრელი შტრიხები.


ყმაწვილი გამოირჩეოდა სიკეთით, არავისი შურდა, მისთვის უცნობი იყო ღვარძლი. ამავედროულად დევი იყო შეუპოვარი ხასიათის, ამაყი და სამართლიანი. გამოირჩეოდა თავდაჯერებულობით. ყოველთვის ჰქონდა თავისი თავის იმედი და აშკარად გამოხატული მიდრეკილება დამოუკიდებელი ქმედებებისა და ცხოვრებისაკენ.

მშობლებმა და ახლობელნათესავებმა ადრეულ ასაკშივე შეამჩნიეს დევის მუსიკალური ნიჭი და მიიყვანეს კერძო პედა-



**ოთხი წლის დევი გეგინასთან, პაპასთან, დედასთან და მამიდასთან ერთად**

გოგთან ფორტეპიანოზე დაკვრის შესასწავლად, მაგრამ მას მალე მოსწყინდა ეს „მოღვაწეობა“ და მიატოვა სწავლა, თუმცა პედაგოგი აღფრთოვანებული იყო მისი მუსიკალური მონაცემებით და სწავლების პირველი შედეგებით.



**დევი (6 წლის) მხოვლაბთან.**

საერთოდ, დევის ძალიან მალე სწყინდებოდა ყველაფერი და სულ ახლის ძიებაში იყო. განსაკუთრებით კი, როგორც ზემოთ ითქვა, იზიდავდა ახალი ტექნიკა და საერთოდ მეცნიერების ტექნიკური სფეროები.

## სიჭაბუკე

ჩვიდმეტი წლის ჭაბუკის, დევი ჭანკოტაძის ცხოვრებაში დადგა, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ეტაპი – როდესაც პიროვნება, თავისი მისწრაფებების შესაბამისად და ნათესავების თუ ახლობლების რეკომენდაციით ირჩევს სამომავლო გზას.

აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ დევი ჭანკოტაძის ახლო ნათესავებში (როგორც მამის, ისე დედის მხრიდან) საკმაოდ იყვნენ სამხედრო საქმის სპეციალისტი ოფიცრები: პაპა – თადარიგის პოლკოვნიკი; მამა – თადარიგის კაპიტანი, არტილერისტი; მამის ბიძა – არტილერიის ოფიცერი, უფროსი ლეიტენანტი; ბიძა – თადარიგის უფროსი ლეიტენანტი, არტილერისტი; ბიძა – არტილერისტის განათლებით, უშიშროების სამსახურის კაპიტანი; ძმა – მსახურობს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ შენაერთში ლოგისტიკის სფეროში. წოდებით მაიორი.

ისიც აღსანიშნავია, რომ დევი პატარაობიდანვე სიმპატიებით იყო განმსჭვალული მოგვარე გენერალის, შალვა ჭანკოტაძის მიმართ, თუმცა მას არ იცნობდა პირადად.

როგორც ჩანს, ამ ადამიანებთან სიახლოვემ და ზოგი მათგანის ცხოვრებისა და საბრძოლო ეპიზოდების შესახებ მონათხრობმა ამბებმა დიდი შთაბეჭდილება მოახ-



**დევი მამასთან და პაპარა ძმასთან**

დინეს მოზარდის მსოფლმხედველობაზე და გამოიწვიეს მისი დაინტერესება სამხედრო საქმიანობით.

ჩვეულებრივი ამბავია ისიც, რომ, როდესაც პატარა ბავშვებს ეკითხებიან – ვინ გინდა გამოხვიდეო, ისინი პასუხობენ: ექიმი, მფრინავი, მასწავლებელი, მოჭიდავე, მსახიობიო და ა.შ.

ერთხელ თამაზ კასრაძეს (მამის მეგობარს) უკითხავს დევისთვის – ვინ გინდა რომ გამოხვიდეო. დევის პასუხი დაუყოვნებლივ და ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გაუცია – გენერალიო (!) (ასე აგიხდეს ყოველი დაპირება, ბატონო თამაზ).

დევიმ, ჯერ კიდევ ყმაწვილმა, მიიღო მტკიცე გადაწყვეტილება – სწავლა გაეგრძელებინა თბილისის უმაღლეს საარტილერიო, სამეთაურო სასწავლებელში. 1978 წლის ცხელი ზაფხულის დღეებში დევიმ ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები და მაშინვე მოექცა პედაგოგ-მასწავლებელთა ყურადღების არეალში. ცოტა მოგვიანებით მოირგო სამხედრო კურსანტის ფორმა და მიიღო მხედრული ფიცი.

სწავლასა და წვრთნაში გაილია საარტილერიო სასწავლებლის ოთხი მეტად დატვირთული და დაძაბული წელი და დევი ჭანკოტაძე, ამჯერად უკვე ლეიტენანტის სამხედრო წოდებით, შედგა ცხოვრების ახალ ეტაპზე. ახლა დევის უნდა ჩაებარებინა ყველაზე მნიშვნელოვანი და რთული გამოცდა. წინ იყო სიძნელებით და ხიფათებით სავსე სამხედრო ცხოვრება და მოღვაწეობა. ეს ის დრო იყო, როცა ავღანეთში ფართო მასშტაბებს ღებულობდა საბჭოთა კავშირის საომარი აგრესია, დღითიდღე იზრდებოდა მსხვერპლის რაოდენობა, დაძაბული იყო საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, საბჭოთა არმიის მებრძოლებისგან მოითხოვებოდა მაღალი ბრძოლისუნარიანობა და პროფესიონალიზმი. დღის წესრიგში იდგა საბჭოთა კავშირის, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო პრესტიჟის საკითხი.



მხედრული ფიცი

მომქმედ სამხედრო ნაწილში, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გაგზავნის წინ, დევი ჭანკოტაძის ცხოვრებაში მოხდა მეტად მნიშვნელოვანი რამ.

1982 წლის 6 თებერვალს, ჭანკოტაძეების ოჯახში, უფრო სწორად ეზოში გაიშალა ხალხმრავალი საქორწინო სუფრა (ამავე დღეს არის დევის დედის, ირინას დაბადების დღე. ვინ იცის, იქნებ ასეთი საჩუქარი მართვა დევამ თავის მშობელს).

თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (გრიბოედოვის ძეგლთან) მდებარე რიტუალების სახლის წინ მოედანი გადაჭედილი იყო ხალხითა და მანქანებით. იმ დღეს ორმოცამდე წყვილი აწერდა ხელს. წყვილებს იძახებდნენ მეგოფონით. დევი და მისი საცოლე სიის ბოლოში იყვნენ და ამიტომ მოშორებით იდგნენ გულშემატკივართა შორის. მოულოდნელად (მიმდევრობის დარღვევით) გამოაცხადეს დევისა და ლარისას ტანდემი (ვილაცას საქმე „ჩაუწყვია“ – გორში არიან წასასვლელები, მოკლე დღეა, თან თოვს და გზაში არ შემოაღამდეთო).

დევის ჯერ გაუკვირდა, არ ელოდა ასე სწრაფად გამოძახებას. მერე სცადა, რაც შეიძლება ჩქარა მისულიყო ხელ-



„უღალვი შაჰის“ სერაფონიანი



პირველი იურიდიული კოსნა

მოწერების ოთახამდე. ძალიან გაუჭირდათ ახალგაზრდებს ხალხით სავსე და მანქანებით ჩახერგილი მოედნის გადალახვა. მეგოფონით უკვე მესამედ მოუხმეს წყვილს. დევი შეფიქრიანდა, მაგრამ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება – ხელში აიტაცა საცოლე და ჯიქურ გაიჭრა წინ. ხალხმა გზა დაუთმო, ორად გაიყო და დევიმაც „დერეფნის“ სირბილით გავლის შემდეგ, ძვირფასი „ტვირთი“ აიყვანა მეორე სართულზე და სუნთქვააჩქარებული აიტუხა საკმაოდ გაოცებული რეგისტრატორი ქალბატონის წინ.

გავიდა ორი წელი და 1984 წლის 7 მაისს დევი გახდა ბედნიერი მამა. ახალგაზრდა ოჯახს შეეძინა ქალიშვილი, რომელსაც დიდი ბების საპატივსაცემად სახელად დაარქვეს ანა. დღესდღეობით ანამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ჰყავს ოთხი წლის ვაჟიშვილი, ისე, რომ ჩვენი წიგნის მთავარი პერსონაჟი, გენერალი დევი ჭანკოტაძე, გახდა პაპა. ეს ყოველივე იქნება ცოტა გვიან, მანამდე კი იყო ხაბაროვსკის მხარის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში სამხედრო ვალდებულების შესრულება და მეომრის ღირსების ფიცის უზენაესობის დაცვა.



## ჟამი სამხედრო მოვალეობის კლსრულებისა



**დავით - კოპიტაური**

მეუღლე, ლარისა მალლაკელიძე, რომელმაც თავისი ცხოვრება დაუკავშირა ოცდაერთი წლის ახლადგამომცხვარ ოფიცერ-არტილერისტს.

რვა წელიწადი იმსახურა დევით შორეულ აღმოსავლეთში და თავი გამოიჩინა სამხედრო ხელოვნების კარგი ცოდნით, ახალი ტექნიკის სწრაფი ათვისებით, საუკეთესო თეორიული და პრაქტიკული ცოდნით, ხელქვეითების აღზრდისადმი დიდი



**დავით (მარჯვნივ) ისმენს ფიცის ტანჯბს.**

ყურადღებით. ყოველივე ამან განაპირობა მისი წარმატება სამხედრო საკარიერო აღმასვლაში.



**სამხედრო კლსრულები აღმოსავლეთში (დავით კლსრულები).**

საარტილერიო ოცეულის მეთაურის თანამდებობიდან იგი, მოკლე ხანში, გადაიყვანეს ბატარეის უფროსის მოადგილედ. ხშირად ასრულებდა მეთაურის მოვალეობასაც.

სამხედრო ხელმძღვანელობა აღნიშნავდა დევის გამჭრიახობის უნარს, საქმისადმი ერთგულებას, სიმამაცეს და პრინციპულობას.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასასრულს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო და კიდევ იმის გამო, რომ რუსეთის აგრესიული წრეები ყველანაირად ბლოკავდნენ საქართველოს სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ – დევის ადგილი „იქ“ უკვე აღარ იყო და მიიღო გადაწყვეტილება, რაღაც არ უნდა დაგდომოდა – დაბრუნებულიყო მშობლიურ მიწა-წყალზე.

სამშობლოსკენ ლტოლვის სურვილი გააძლიერა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულმა ტრაგედიამ, როდესაც საგანგებოდ გაწვრთნილმა რუსმა ჯარისკაცებმა, ალესილი ნიჩბებით და მომწამლავი აირის გამოყენებით, დახოცეს მშვიდობიანი დემონსტრანტები, რომლებიც მღეროდნენ და ლოცულობდნენ სანთლებით ხელში.

აბა, დევის ვინ ეტყოდა სიმართლეს შორეული აღმოსავლეთის რუსულ სამხედრო ნაწილში?! წერილს წერილზე აგზავნიდა მშობლებთან და ითხოვდა სრულ და ჭეშმარიტ ინფორმაციას. მშობლებმა სატელეფონო საუბარზე გამოიძახეს და აუხსნეს ყველაფერი დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. დევი უკიდურესად აღაშფოთა მოსმენილმა და მეორე დღიდანვე რადიკალურად გამოხატავდა თავის აზრს, რაც შეუმჩინეველი არ დარჩენია სამხედრო ხელმძღვანელობას. დევის გარშემო შეიქმნა ჩასაფრებული მტრული ატმოსფერო. დევის ბობოქარი სულიდან გამომდინარე, მოსალოდნელი იყო მოვლენების საბედისწერო განვითარება, მაგრამ, როგორც იტყვიან – გონებამ სძლია ემოციურობას. დევის მცდელობამ შედეგი

გამოიღო, თუმცა საამისოდ მას საკმაოდ სახიფათო ნაბიჯების გადადგმა დასჭირდა და დევი ჭანკოტაძე, არტილერიის უფროსი ლეიტენანტის წოდებით, სამხედრო საარტილერიო საქმეში პრაქტიკული მოღვაწეობის რვაწლიანი სტაჟით, ბრუნდება საქართველოში. ეს იყო 1990 წლის იანვარში.


დევი ჭანკოტაძის ცხოვრებაში დაიწყო სამხედრო-სამსახურებრივი თუ საოჯახო ცხოვრების ახალი ეტაპი, უკვე მშობლიურ მიწაზე.

ამ მომენტისათვის საქართველო იდგა დიდი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძვრების წინაშე. ქვეყანაში სულ უფრო მძლავრად ისმოდა საზოგადოების წიაღში მომზადებული ეროვნული მოძრაობის ბიძგების ხმა. საქართველო ემზადებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაციისათვის. მოსალოდნელი იყო სიტუაციის უკიდურესი გამწვავება და სისხლის ღვრა, რაც დადასტურდა შემდგომი მოვლენებით.

რუსეთის იმპერიალისტურმა ძალებმა და ველიკოდერჟავული ამბიციებით გაჟღენთილმა რუსულმა პოლიტიკურმა წრეებმა, დაყნოსეს რა საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობისაკენ შეუოკებელი სწრაფვა, მაშინვე ჩართეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში საგანგებოდ ჩადებული, ნაღმების მექანიზმები.

წუთი წუთს მისდევდა და დღე დღეს. ნებისმიერ მომენტში იყო მოსალოდნელი სისხლისმღვრელი აფეთქება. შექმნილ ვითარებას ამძიმებდა ისიც, რომ დაძაბული იყო შიდაპოლიტიკური სიტუაციაც, რაც, თავის მხრივ, იწვევდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესებას და საზოგადოების ყოფის მზარდ არასტაბილურობას.

აი, ასეთი ვითარება დახვდა რუსული არმიიდან წამოსულ ქართველ არტილერისტს, უფროს ლეიტენანტს, დევი ჭანკოტაძეს საყვარელ სამშობლოში.



დღევი არასდროს ყოფილა პოლიტიკოსი და სერიოზულად არც არასდროს შეხებია მისთვის ნაკლებადმიმხილველ სფეროს. ის იყო ჯარისკაცი და ცდილობდა რაც შეიძლება უკეთ შეესრულებინა მხედრული დავალებები.

ასე იყო, თუ ისე, შექმნილ მძიმე ვითარებაში, დღევის უნდა გაეკეთებინა გარკვეული არჩევანი და მან ეს გააკეთა მტკიცედ, გადაწყვიტა რა, რომ ებრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის.

სიძნელე და პრობლემა ბევრი იყო, მაგრამ დღევის ძალას მატებდა ის, რომ საკუთარ მიწაზე იდგა და კიდევ – მის გვერდში, ამჟამად, იდგნენ ქართველი მებრძოლები, ხშირ შემთხვევაში, თანამოქალაქენი და თანაკლასელებიც კი.

ცოტა მოგვიანებით დღევი რამდენჯერმე სიამაყით იტყვის: „...სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცთან მქონია შეხება ბრძოლის დროს, მაგრამ ვერაფერს იბრძვის ისე, როგორც ქართველი მეომარი. თავდადებით, სიმამაცით, გამძლეობით და სამშობლოს სიყვარულით, ქართველი მეომარი ბიჭები ყოველთვის სამაგალითონი არიან...“ მერე კი სინანულით დაამატებდა ხოლმე: „...სამწუხაროდ, სამხედრო ხელოვნების ცოდნის დონე არ გვაქვს სათანადო სიმაღლეზე, მოიკოჭლებს დისციპლინა და გვიჭირს ერთობა...“

დღევი ჭანკოტაძეს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და ამ უწმინდესი სულისკვეთებით ახალგაზრდა თაობების აღზრდა. ამ მიზნით მას, როგორც უკვე მაღალ დონეზე ჩამოყალიბებულ პროფესიონალ სამხედრო ჩინს, ხშირად იწვევდნენ მის ყოფილ უმაღლეს საარტილერიო სასწავლებელში ახალგაზრდა კურსანტებთან შესახვედრად და გამოცდილების გასაზიარებლად.

ამასობაში დღევის წამოეზარდა და დავაჟაკდა უმცროსი ძმა რეზო, რომელიც გვერდიდან არ შორდებოდა



ძმას და ყველანაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა მისთვის სამხედრო ოფიცრის ყოფის პირობები. რეზო ამჟამად არის მაიორი (როცა რეზო კაპიტანი იყო, ხუმრობდა ხოლმე – მე უფრო ბევრი ვარსკვლავები მაქვს სამხრეებზე, ვიდრე ჩემს გენერალ ძმასო).

აი ასე, ორი ვაჟკაცი გაიზარდა ვ, ჭანკოტაძისა და ი. ვარძიგულოვას ოჯახში და ორივე მათგანი დღას სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე.

## უმძიმესი წლები

*„ბედნიერია ის, ვისაც  
სამშობლოსათვის უძგერს გული“*

ადამიანის ცხოვრებაში, ადრე თუ გვიან, დგება შედარებით მწვავე და დაძაბულობით გამორჩეული პერიოდი. დროის ასეთი მონაკვეთი ღრმა კვალს ტოვებს ყველა ჩვენგანის შეგნებაში და ყოფაში, როგორც ისტორიულ, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ მორალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. თუმცა უმძიმეს წლებშიც კი, ადამიანები ყველანაირად ცდილობენ საკუთარ თავში გამოიხილონ ძალა და ენერჯია საიმისოდ, რომ რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაიტანონ თავსდატეხილ ნეგატიურ მოვლენათა ზეგავლენა.

მეორეს მხრივ, ხშირად, უმძიმესი სტრესების გადატანის პროცესი მნიშვნელოვნად ცვლის პიროვნების მსოფლმხედველობას, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს სამომავლო გეგმებზე და კორექტივები შეაქვს როგორც პირად ცხოვრებაში, ისე სამსახურებრივ მოვალეობებისა და მეგობრებისა თუ ნათესავებისადმი არსებულ ურთიერთ-დამოკიდებულებებში.

განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიან ასეთ ვითარებაში მოხვედრას ახალგაზრდები, რომლებმაც ჯერ კიდევ



ვერ მოასწრეს სრულად და მკაფიოდ ჩამოეყალიბებინათ სამომავლო ცხოვრების კრედიო, რომლებიც ჯერ კიდევ დგანან გზაჯვარედინზე და გაფაციცებით და გულსყურით აკვირდებიან მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებს.

საქართველოსა და ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 1989-93 წლები. მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ტრაგიკულმა მოვლენებმა ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი ქართველი ხალხის უდრეკ ნებას – ებრძოლა დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის და ფრთები შეესხა სახელოვან წინაპართა სანუკვარი ოცნებისათვის. მაგრამ, როგორც არაერთხელ, ამჯერადაც თავისუფლებისაკენ მიმავალი გზა აღმოჩნდა ეკლიანი და სისხლიანი.

ჯერ იყო და რუსეთის შეიარაღებულმა სპეცრაზმებმა 1989 წლის 9 აპრილს სისხლიანი კალო დაატრიალეს დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, მერე კი საქართველოს შინაურ პოლიტიკურ საქმეებში უხეში ჩარევით მოაწყეს ფართო სამოქალაქო დაპირისპირების ინსპირირება, რამაც გამოიწვია საზოგადოების ორ ნაწილად გახლეჩა, რაც რუსეთის იმპერიალისტური და შოვინისტური პოლიტიკური წრეების წისქვილზე ასხამდა წყალს. საბედისწეროდ ამოქმედდა ავადსახსენებელი პრინციპი – „გათიშე და იბატონე“. ესეც არ გვაკმარეს და, როგორც დაგვირდნენ, სრული იდეოლოგიური და სამხედრო-პრაქტიკული მხარდაჭერა გამოუცხადეს აფხაზ და ოს სეპარატისტებს; წააქეზეს და შეაგულიანეს ისინი – შეიარაღებული დაპირისპირებისა და ტერიტორიული პრეტენზიების სამართლიანობასა და აუცილებლობაში.

და უკვე მერამდენედ, ქართველი ხალხი დადგა საკუთარი ტერიტორიების დაკარგვის საფრთხის წინაშე და ამ საფრთხეს ამზადებდნენ (როგორც შემდგომში განვი-

თარებულმა მოვლენებმა გვიჩვენეს) რუსეთის, თვითმპყრობელობის მანიით დაავადებული, კავკასიაში რაღაც ისტორიული ინტერესების თითოდაცამოწოვილი პრინციპების ბოღვით შეპყრობილი პოლიტიკური და სამხედრო აგრესიული წრეები.

საქართველოს დაუდგა საბედისწერო ჟამი. ჯერ კიდევ ჟონავდა სისხლი 9 აპრილისა და სამოქალაქო დაპირისპირებით გამოწვეული ჭრილობებიდან. არასტაბილური იყო შიდაპოლიტიკური მდგომარეობაც. შექმნილი უმძიმესი ვითარება კი მოითხოვდა ერის კონსოლიდაციას, ძალების მოკრეფას – წინ იყო აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტრაგიკული მოვლენები.

აი, ასეთი სამხედრო-პოლიტიკური და დამძიმებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით მოცულ საქართველოში დაბრუნდა, რუსეთის შეიარაღებული ძალებიდან თავდაღწეული არტილერისტი, უფროსი ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე.

საქართველოში მას დახვდა (სამწუხაროდ) ერთის მხრივ განუკითხაობის, უბედურების, დაუნდობლობისა და სისასტიკის, მეორეს მხრივ კი – თავდადების, თავგანწირვის, ვაჟკაცობის და პატრიოტიზმის გამოვლენის ჟამი. დახვდა და ჩაება კიდევ ამ ორომტრიალში. ჩაება და აღასრულა თავისი ვალი – ვალი მოქალაქისა, ვალი მებრძოლისა.

საქართველოში არსებულმა მრავალპარტიულმა სისტემამ და მისგან გამომდინარე პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი (მეტწილად ურთიერთსაპირისპირო) ე.წ. ინტერესების მრავალფეროვნებამ და შეიძლება ითქვას, საფუძველმოკლებულმა ამბიციებმა, უკიდურესად დაძაბა ვითარება ქვეყანაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ აჟღარუნდა იარაღი და ქართველი მეომარი ბიჭები, პოლიტიკის შეფების „წყალობით“, აღმოჩნდნენ ბარიკადის სხვადასხვა მხარეს (შექმნილ მძიმე ვითარებას ამწვავებდა ეკონომიკური კრიზისიც – აღამიანები ღამეებს ათევდნენ პურის

რიგებში). საბედისწერო ჟამს, იარაღით ხელში პირისპირ იდგნენ თანამემამულენი, თანამოქალაქენი, თანაკლასელები და სისხლით ნათესავებიც კი.

აღნიშნულმა სამოქალაქო დაპირისპირებამ მძიმე ტრავმა მიაყენა ქვეყანას. ქართველი ერის ბედკრულ ისტორიაში ჩაიწერა კიდევ ერთი (გაიხსენეთ ბაზალეთის ომი) შავი ფურცელი. ქვეყანა ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. აყრიან და ერის სხეულს, იღვრებოდა ცრემლი და სისხლი, გაუგებრობა და განუკითხაობა სუფევდა ირგვლივ.

მაგრამ ეს კიდევ რა იყო!? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინ იყო საომარი მოქმედებები ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში.

მტრებმა ისარგებლეს ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით და ზურგში ლახვარი ჩაგვცეს, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა წარსულშიც.

როგორც იტყვიან, დრო გვიხელთეს და შეუდგნენ თავიანთი სეპარატისტული მზაკრული ზრახვების აღსრულებას.

როგორ არ გავიხსენოთ დიდი ვაჟას სიტყვები:

„ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო,  
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,  
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს  
გაშლილს, გაფანტულს ველადა!“

დევი ჭანკოტაძე აღმოჩნდა საბედისწეროდ განვითარებულ მოვლენათა ეპიცენტრში და როგორც ჯარისკაცი, ასრულებდა უშუალო სამხედრო ხელმძღვანელობის დავალებებს.

საბედნიეროდ, მაინც იმძლავრა გონებამ და სამარცხვინო ე.წ. თბილისის ომი დამთავრდა, თუმცა დღესაც მოუშუშებელია ის ჭრილობები, რომელიც სამოქალაქო ომმა დაგვიტოვა.

ტერიტორიების დაკარგვის მოსალოდნელმა საფრთხემ, აიძულა ხელისუფლება და ხალხი, ეძებნათ სწორი პოლი-

ტიკური გადაწყვეტილებები. ქვეყანას გადაუარა პატრიოტიზმის ტალღამ, მოსახლეობამ სცადა შეკრულიყო ერთ მუშტად და საკადრისი პასუხი გაეცა სეპარატისტებისა და მათი წამქეზებლებისათვის. მაგრამ მართო სურვილი არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სამოქალაქო ომის შედეგების სწრაფი ლიკვიდაცია, პოლიტიკური და სამხედრო სწორი ორიენტირების განსაზღვრა და შემოკლებულ ვადებში შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება, რომლებიც ღირსეულად დაიცავდნენ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. არ დაგვავიწყდეს, რომ ასევე საჭირო იყო აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური რესურსების მოძიებაც, რაც არც თუ იოლი საქმე გახლდათ.

ახალგაზრდა ოფიცერს, იმჟამად უკვე უფროს კაპიტანს, დევი ჭანკოტაძეს, მოუხდა ახალი, სიტუაციის ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება და ისიც მთელი თავისი ენერგიით და ცოდნით შეუდგა სამხედრო მზადებას. შეძლებისდაგვარად თავი მოუყარა ქვეყანაში გაფანტულ, ხშირ შემთხვევაში, მწყობრიდან გამოსულ საარტილერიო ტექნიკას, შეაკეთ-შეაკოწიწა, შექმნა ცალკეული საბრძოლო ქვედანაყოფები, დაიწყო წვრთნა და ა.შ.

მტკივნეულად იგრძნობოდა არტილერიის სპეციალისტებისა და ტყვია-წამლის დეფიციტი. დრო არ ითმენდა, სეპარატისტები ყოველდღიურად თავხედდებოდნენ და რუსეთის აგრესიული წრეების წაქეზებით სულ უფროდაუფრო ამბიციურ პრეტენზიებს აყენებდნენ. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. საქართველო ჩაება უთანასწორო ბრძოლებში, უთანასწორო იმიტომ, რომ სეპარატისტებს ზურგს უმაგრებდა და არა მართო უმაგრებდა – აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლებში რუსეთის თანამედროვე სამხედრო მანქანა.

ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში იბრძოდა დევი ჭანკოტაძე თავის თანამებრძოლებთან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იყო უძილო და-

მეები, დაღვრილი სისხლი, შიმშილი, სამხედრო ტექნიკისა და კვალიფიციური კადრების სიმცირე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი აღმოჩნდა – არაორგანიზებულობა, უდისციპლინობა და დალატიცკი.

სუსტი იყო სამხედრო კოორდინაცია, ცხადად არ ჩანდა საბრძოლო ტაქტიკა – მითუმეტეს სტრატეგია. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს ჰყავდათ „თავიანთი“ შეიარაღებული ძალები „თავიანთი“ ხელმძღვანელობით. ისინი ხშირად ერთმანეთს ვერ, ან არ უგებდნენ. არ არსებობდა ერთიანი ცენტრალური მართვის სისტემა. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დაუმორჩილებლობას. რჩებოდა შთაბეჭდილება იმის, რომ საქართველოს სამხედრო შეიარაღებული ძალები წარმოადგენდა მოხალისეთა გარკვეული ჯგუფების თავმოყრას, რომელთაგანაც ყველას „თავისი“ მიზნები და „თავისი“ სიმართლე ჰქონდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მოხდა ის, რაც ალბათ უნდა მომხდარიყო. უბედურებაა ის, რომ არასწორი სამხედრო ოპერაციების, ერთიანი სამხედრო მართვის სისტემის არქონის, ზურგის სამსახურების სისუსტისა და დაქსაქსულობის გამო, ათასობით ახალგაზრდა შეეწირა ტერიტორიული მთლიანობისათვის მოუმზადებელ ბრძოლებს. ამავე წლებში საქართველომ წააგო ინფორმაციული ომიც.

## ჩინეთში

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა არის თავდაცვისუნარიანობის ამალღებისა და განმტკიცების უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მოითხოვს სამხედრო შეიარაღებული ძალების თანამედროვე მოთხოვნილებათა დონეზე აყვანას, ანუ: პროფესიონალების მომზადებას და გადამზადებას, სტრატეგიული და ტაქტიკური ხასიათის პერსპექტიულ დაგეგმარებას, თანამედროვე შეიარაღებით უზრუნველყოფას, საინჟინრო, სამედიცინო, საფინანსო და სოციალური სფეროებისა და მრავალი სხვა სპეციფიური დარგის სრულყოფასა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აღნიშნული მიმართულებებით და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

ხელისუფლება ითვალისწინებს რა პროფესიონალი კადრების დეფიციტის არსებობას – ინტენსიურად მიმდინარეობს სამხედრო ხელოვნების შესწავლა როგორც ეროვნულ აკადემიაში, ისე ცალკეულ სამხედრო ნაწილებში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეგობარი ქვეყნების გამოცდილების შესწავლასა და მათთან ერთობლივ სწავლებას და პრაქტიკულ ვარჯიშებს, რისთვისაც ასეულობით სამხედრო მოსამსახურე იგზავნება საზღვრებს გარეთ კონკრეტული დავალებით.

ასეთ კონტიგენტს შორის მოხვდა მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი დევი ჭანკოტაძე, რომელიც ექვსი თვით გაგზავნილ იქნა ჩინეთში უმაღლესი რანგის ოფიცერთა სწავლების კურსებზე სახელწოდებით: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამხედრო აკადემიის უცხოელ სამხედრო მოსამსახურეთა

სწავლების კურსები“.

გენერალ-მაიორმა დევი ჭანკოტაძემ ბრწყინვალე შეფასებით დაამთავრა აღნიშნული კურსები, რაზედაც მეტყველებს სწავლების უფროსის, გენერალ-პოლკოვნიკ სინ შიჩუენის და პოლიტკომისარ, გენერალ-ლეიტენანტ ჩჟო კემინის ხელმოწერებით გაცემული სერთიფიკატი. სპეციალობა კი ასეთი გახლავთ: „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, სამხედრო სტრატეგია და ოპერატიული ხელოვნება“.

გენერალ-მაიორ დევი ჭანკოტაძისათვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა როგორც მის სამხედრო კარიერაში, ისე პირად ცხოვრებაში.

დევი არასდროს საუბრობს თავის სამხედრო საქმიანობაზე, მაგრამ ის კი აღნიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ჰყავს უმაღლეს დონეზე მომზადებული მრავალმილიონიანი არმია და რომ თვალნათლივ ჩანს დახვეწილი ხელოვნება, ურომისუნარიანობა და დისციპლინა.

ჩინეთში ყოფნის დროს დევის განსაკუთრებით მოეწონა ჩინელი ხალხი (ზრდილობით, კულტურით, თავმდაბლობით, სტუმართმოყვარეობით, ურომისმოყვარეობით) და ჩინური კედელი (იგი მას მერვე საოცრებად თვლის). ვერ შეეჩვია ჩინურ სამზარეულოს და ცდილობდა ევროპული სტილის ობიექტებში მოხვედრას.

აღსანიშნავია, რომ აკადემიის ლექტორთა შორის იყვნენ ჩინეთის დიდი ბელადის მათ ძე დუნის დროინდელი არმიის გენერლებიც.

ჩინეთის აკადემიაში სწავლების პერიოდში დევი გაეცნო სხვადასხვა ქვეყნის ასევე მაღალი რანგის ოფიცრებს, რაც შესაძლოა მას გამოადგა კიდევ მას შემდეგ, რაც იგი ჩინეთიდან დაბრუნების შემდეგ განამწესეს ჯერ დსთ-ში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლად, მერე კი სამხედრო ატაშედ რუსეთის ფედერაციაში.

证字 469J2705 号



# 国防大学修业证书

## NATIONAL DEFENSE UNIVERSITY CERTIFICATE

格鲁吉亚武装部队 大卫·马赫采泽·马赫采泽奇少将，于二〇〇一年三月至七月在中国人民解放军国防大学外训系高级进修班第二十七期学习，成绩合格，特发此证。

Данный сертификат выдан генерал-майору Дави Вахтанишвили Чанкотадзе в том, что он в период с 1 марта по 25 июля 2001 года завершил обучение на Высших академических курсах факультета обучения иностранных слушателей Военной Академии Народной Обороны НОАК Китайской Народной Республики по специальности: государственное строительство, военная стратегия и оперативное искусство.

校长 邢志忠 上将

Назавильник

Генерал-полковник

Син Шичжоу

副校长 赵可铭 中 将

Полковник

Тереза-Иванович

Чан Кантин

二〇〇一年七月二十五日  
25 Июля 2001 Года

ჩინეთში მიღებული უმაღლესი რანგის სპეციალური სერტიფიკატი.

## სამსახურებრივი კარიერის საფეხურები

- 1978-1982 წ.წ. – ქ. თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტი.
- 1982-1989 წ.წ. – შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის საარტილერიო ოცეულის მეთაური.
- 1990-1991 წ.წ. – საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის მოტომსროლელი ბატალიონის ასეულის მეთაური.
- 1991-1992 წ.წ. – ქ. გორის მოტომსროლელი ბატალიონის შტაბის უფროსი.
- 1992-1994 წ.წ. – საქართველოს ეროვნული გვარდიის საარტილერიო პოლკის მეთაური.
- 1994-1995 წ.წ. – საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი.
- 1995-1999 წ.წ. – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირველი საარტილერიო ბრიგადის მეთაური.
- 1996 წ. 11 ნოემბრიდან – მთავარსარდლის რეზერვის საარტილერიო ბრიგადის მეთაური.

- 1999-2000 წ.წ. – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არტილერიის სარდალი.
- 2000-2004 წ.წ. – საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე.
- 2004 წ. 16 მარტიდან 2004 წ. ნოემბრამდე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამხედრო ურთიერთთანამშრომლობის კოორდინაციის შტაბში.
- 2004 წ. დეკემბრიდან 2005 წ. ნოემბრამდე – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების საქართველოს სამხედრო ატაშე რუსეთის ფედერაციაში.
- 2005 წლის ნოემბრიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეზერვში.
- 2007 წლიდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო ბრიგადის მეთაური.
- 2008 წლის აგვისტოდან – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილე.



## წოდებრივი წინსვლა

1. ლეიტენანტი – 1982 წ. 21 სექტემბერი.
2. უფროსი ლეიტენანტი – 1984 წ. 3 აგვისტო.
3. კაპიტანი – 1991 წ. 26 მაისი.
4. უფროსი კაპიტანი – 1992 წ. 31 ივლისი.
5. პოლკოვნიკი – 1992 წ. 19 ოქტომბერი.
6. გენერალ-მაიორი – 1999 წ. 12 დეკემბერი

## ღევი ჭანკოტაძის ორდენები და მედლები

1. საიუბილეო მედალი „სსრკ-ს შეიარაღებულ ძალების 70 წლის იუბილე“.
2. სსრკ-ს შეიარაღებულ ძალებში „უმწიკვლო სამსახურისათვის“.
3. „სამშობლოს ერთგულებისა და თავდადებისათვის“.
4. ვახტანგ გორგასლის ორდენი.

ვახტანგ გორგასლის  
III ხარისხის ორდენი



00768 \*

ღევი (სახელი)  
ჭანკოტაძე (გვარი)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წ. 18 იანვარს  
ბრძანებულებით დაჯილდოვდა

ვახტანგ გორგასლის  
III ხარისხის ორდენით  
№ 00499



## ДИПЛОМ

ИВ № 112312

Настоящий диплом выдан Чанкотадзе Дави Вахтанговичу  
в том, что он в 1978 году поступил  
в МВИАССКое высшее артиллерийское кадетское Краснознаменное училище им. 26 Бакинских комиссаров  
и в 1982 году окончил полный курс позвонного училища им. 170-летнего высшее артиллерийское кадетское Краснознаменное училище им. 26 Бакинских комиссаров  
по специальности Командира тактического, артиллерийское вооружение.

Решением Государственной экзаменационной комиссии от 15 июля 1982 г.  
Чанкотадзе Д.В.  
артиллерийский офицер с высшим военно-специальным образованием, подлежащий назначению на должность артиллерийского вооружения

Генерал-майор Серуленко И.И. (С. Серуленко)  
Генерал-майор артиллерии Виткоц (В. Шубанов)  
Подполковник-инженер Виткоц (В. Шубанов)  
Число 15 июля 1982 г.

Регистрационный № 204  
Московская типография Голика 1981.

ЗА БЕЗУПРЕЧНУЮ СЛУЖБУ  
В ВООРУЖЕННЫХ СИЛАХ СССР

С.П. Лейтенант  
звание,  
Чанкотадзе  
фамилия,  
Дави Вахтангович  
имя и отчество

Приказом Министра Обороны СССР  
№ 3 от 7 января 1989 г.

награжден медалью „За безупречную службу“ III степени.



„70 лет ВООРУЖЕННЫХ СИЛ СССР“



УДОСТОВЕРЕНИЕ

старший лейтенант  
Чинкотадзе

Дзви Вахтанговичи

в соответствии с Указом ПРЕЗИДИУМА  
ВЕРХОВНОГО СОВЕТА СССР  
от 28 января 1988 года  
НАГРАЖДЕН ЮБИЛЕЙНОЙ МЕДАЛЬЮ

„70 ЛЕТ ВООРУЖЕННЫХ  
СИЛ СССР“

От имени ПРЕЗИДИУМА ВЕРХОВНОГО  
СОВЕТА СССР МЕДАЛЬ ВРУЧЕНА

22 « *сентябрь* » 19 *88* года  
Полный адрес 18485  
(должность, воинская часть и  
М. П. *...* = *...*

საქართველოს თავდაცვის  
სამინისტრო



მონომბა № 003

საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
2002 წლის 23 ოქტომბრის  
№2718 ბრძანებით

გადაეცა

სამშობლოს ერთგულებისა და  
თავდადების I ხარისხის ნიშანი

გენერალ-მაიორ  
(წოდება)


დევი ჭანტოტაძეს  
(სახელი, გვარი)

საქართველოს  
თავდაცვის მინისტრი  
გენერალ-ლეიტენანტი დ.თევზაძე

ეპიზოდები დევის აღრეული  
ცხოვრებიდან

ველოსიპედი

ხუთი წლის იყო დევი, როცა მშობლებმა ბათუმში წაიყვანეს. შვეებულების გატარება პატარა ბავშვთან ერთად არ არის, მინც-დამინც, დიდად სასიამოვნო, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ.



ზღვისპირა პარკში, ე.წ. ბულვარში ყოველთვის უამრავი ხალხი ირეოდა; სალამოობით ხომ ტევა არ იყო. მშობლები ყოველ საღამოს დაასეირნებდნენ დევის. თუ ამას სეირნობა ერქვა: დევი ხან ხეზე ავიდოდა, ხან ბუჩქებში იმალებოდა, ხან კენჭებს ისროდა, ხან კი გოგონებს დასდევდა და ბაბთებს აგლეჯდა. იყო ერთი გაწამაწია და წივილ-კივილი. დევის მშობლები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ.

ერთხელ, როცა დევი ხელჩაკიდებული მიჰყავდათ, გვერდით ჩამოიქროლა სამთელიანი საბურავებიანი იმპორტული ველოსიპედით, კარგად მსუქანა, ასე 6-7 წლის ბიჭუნამ (მაშინ მხოლოდ კარგადშეძლებულ მშობლებს შეეძლოთ ასეთი ველოსიპედის შექენა შვილებისთვის) და კინალამ დევის დაეჯახა. იმ მსუქანამ რამდენჯერმე აუქროლ-ჩაუქროლა დევის და თავი საკმაოდ თავმომწონედ და გამომწვევად ეჭირა.

ერთხელაც დევამ ძალით შეაჩერა მსუქანა და ცოტახნით ველოსიპედი სთხოვა. მსუქანამ უარი უთხრა. მაშინ დევამ მოინდომა წართმევა და ხელი უბიძგა. ის

იყო უნდა შემოსკუპებულიყო წართმეულ ველოსიპედზე, რომ მსუქანას მშობლები ჩაერივნენ საქმეში. დევმ, თვალცრემლიანმა მიიბრინა მშობლებთან, რომლებიც მას კარგა ხანია ეძებდნენ.

დევის მშობლებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ეყიდათ ველოსიპედი და იმითა ამწვიდებდნენ პატარას, რომ გაიზრდები დიდ, ორთვლიან ველოსიპედს გიყიდიყო.

მსუქანას ოინები და გამომწვევი ქროლვა კიდევ რამდენიმე დღეს გაგრძელდა. დევი ბავშვურად განიცდიდა სიტუაციას და ბოლმა ყელში ეჩხირებოდა. მშობლებმა კი გადაწყვიტეს ბავშვი სასეირნოდ ეტარებინათ ბულვარის სხვა, მოშორებულ კუთხეში.

ერთ დღეს, ბაზრიდან დაბრუნებულმა დევის მამამ შეამჩნია, რომ შვილი თავს დასტრიალებდა რკინისა და თუნუქის ნაჭრების რაღაც გროვას. დევი მთელი დღე აკაკუნებდა, აჩხაკუნებდა, რაღაცეებს ქვას ურტყამდა, რაღაცეებს მავთულებით აბამდა და ამაგრებდა და ისე იყო საქმეში ჩართული, რომ გარშემო ვერავის ამჩნევდა. დევის მამამ იმ გროვაში ველოსიპედის ცალკეული დეტალები დალანდა და მიხვდა, რაშიც იყო საქმე.

როგორც შემდეგ გაირკვა, დევის სადღაც სარდაფში თუ სხვენში უპოვია სამთვლიანი ველოსიპედის ნარჩენები და ახლა ცდილობდა მათ აწყობას.

ორი, თუ სამი დღის შემდეგ დევმ ითხოვა, რომ სასეირნოდ ისევ ადრინდელ კუთხეში წაეყვანათ, სადაც მსუქანა ნებივრობდა. დევის მამამ რაღაც შვება იგრძნო, შვილის იმედი ჰქონდა.

პატარა ბიჭების შეხვედრა დამთავრდა იმით, რომ დევმ, რომელიც ძალიან სწრაფი იყო და ბავშვის კვალობაზე საკმაოდ ძლიერიც, რამდენჯერმე უკან ჩამოიტოვა საბურავიანი იმპორტული ველოსიპედის მსუქანა მფლობელი.

ასე გაგრძელდა რამდენიმე დღეს. თავაწყვეტილ რბო-

ლაში დევი ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და მის სიხარულს, ისევე როგორც მშობლებისას, საზღვარი არ ჰქონდა.

ბულვარის მრავალრიცხოვანი „მაყურებელი“ ტაშით ავილდობდა გამარჯვებულს და იმავე დროს თავს ვერ იკავებდა ხარხარში გადასული სიცილისგან. სიცილი კი იმით იყო გამოწვეული, რომ დევის მიერ აწყობილ-შეკოწიწებულ ველოსიპედს გზადაგზა სცვიოდა ნაწილები. უკანა მარცხენა ბორბალი დაწყლეთილი იყო და თითქოს ორმოში ჩაჰკარავდა ხოლმე, ისე იქნევდა თავს თვალებგაბრწყინებული და „ორთაბრძოლაში“ გამარჯვების ჟინით აღსავსე დევი. საჭის ერთი მხარე მაღლა იყო აშვერილი, მეორე კი დაბლა. დასაჯდომი ჟანგიანი მეტალის იყო, ყოველგვარი რბილი გადასაფარებლის გარეშე. წინა ბორბალს კი შემოდლეტილი ჰქონდა რეზინის რგოლი. სწორედ ასეთი ვითარება იწვევდა საერთო მხიარულებას და ხმამაღალ აღტაცებას.

ამის შემდეგ მსუქანა, თავის იმპორტული ველოსიპედით, სადღაც გაქრა, დევიმაც მალე მიივიწყა თავისი მრავალტანჯული კონსტრუქცია.

## სიგარეტების კოლექცია

გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დევის მამამ გადაწყვიტა შეექმნა სიგარეტების კოლექცია და შეუდგა საქმეს.

„ნეტავ რაში გჭირდება, რა სარგებლობა უნდა მოგიტანოს“ – ეტყოდა ხოლმე მეუღლე.

„ირა, გენაცვალე, აბა მითხარი, რა სჯობია, როცა სტუმარი თითს გაიშვერს კოლექციის რომელიმე კოლოფისაკენ და გთხოვს, ერთი ღერი მომაწვივინეო. შენც სიამოვნებით და სიამაყით მიაწვდი ერთ ღერს, ზოგჯერ წარმოებიდან ამოღებული სიგარეტის კოლოფიდან. ეს

ხომ გარკვეული პატივისცემა სტუმრისადმი – ეტყოდა ხოლმე დევის მამა.

გადიოდა წლები. დევი იზრდებოდა, კოლექციაც მდიდრდებოდა. უკვე იმდენი შეგროვდა, რომ დევის მამამ სპეციალური ვიტრინები გააკეთა და კედელზე ჩამოკიდა სასტუმრო ოთახში. კოლექციაში იყო, როგორც იმ დროს საუკეთესოდ აღიარებული („კენტი“, „ქემელი“, „ფილიპ-მორისი“ და სხვა), ისე წარმოებიდან ამოღებული („ტემ-პი“, „ურმული“, „ნოვიე“, „სოვეტსკი“, „№5“ და ა.შ.) სიგარეტები და პაპიროსები.

დევის მამა ამაყოფიდა თავისი კოლექციით და ჩაფიქრებული ჰქონდა მისი სისტემატური შევსება და გამდიდრება.

ერთ მშვენიერ დღეს ჭანკოტაძეების ოჯახში შეიკრიბნენ ძვირფასი და საპატიო სტუმრები. შუა პურმარილში ერთ-ერთმა სტუმარმა მოინდომა კოლექციიდან ერთი ღერის მოწევა და მასპინძელს თითით მიანიშნა „ფილიპ-მორისისაკენ“.

ჩემი თავი გენაცვალოსო – სიხარულით გაიბადრა მასპინძელი. გასწია ვიტრინის მინა, გახსნა კოლოფი, მაგრამ შიგ არ აღმოჩნდა არცერთი ღერი. დევის მამა შეცბა, სტუმარმა კი ახლა „ურმულის“ კოლოფს დაადგა თვალი – არც ამ კოლოფში არ აღმოჩნდა შიგთავსი. მასპინძელმა მოჩხრიკა თითქმის ყველა კოლოფი, მაგრამ ამოდ.

პურმარილი მაინც მხიარულ ნოტაზე დამთავრდა. სტუმრებმა კმაყოფილებმა მიაშურეს თავიანთ სახლებს.

მეორე დღეს დევის მამამ სახლის სხვენში მიაკვლია ერთ „მოყუჩებულ“ ადგილს, რომელიც გადაპენტილი იყო სიგარეტებისა და პაპიროსების ნამწვებით. ახლა კი გაახსენდა უფროს ჭანკოტაძეს, რომ ბოლო რამდენიმე თვეა, სხვენიდან სისტემატურად ისმოდა რაღაც მოგუდული ხმაური და ნაბიჯების ხმა. მაშინ მას ამ



ბიჭვას ურუკლთვის იფილათ მამის პანანის დრობითი „პატახუბა“.

ფაქტისათვის არ მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება.

იღვა 1977 წლის შემოდგომა. დევის 16 წელი შესრულებოდა.

## რამდენი თავი აქვს დევს?

დევი უკვე მაღალი თანამდებობის სამხედრო პირია. თავის სამუშაო ოთახში ატარებს თათბირს ოფიცრებთან. ძალიან გაბრაზებული და აღელვებულია. როგორც ჩანს, რაღაც მნიშვნელოვანი საქმე არ გამოსდიოდა და კაბინეტში დაძაბული სიტუაცია იყო შექმნილი. არავინ იცის, ვის დაატყდება უფროსის (დევის) რისხვა.

ამ დროს რეკავს ტელეფონი. დევამ აიღო ყურმილი და ისევ დადო (გათიშა). ტელეფონი ისევ აწკრიალდა – დევი კვლავ თიშავს და ისეთი სახე აქვს, რომ ჩანს, სადაცაა იფეთქებს. ასე გამეორდა რამდენჯერმე. ბოლოს დევამ აიღო ყურმილი და „რა გინდაო“, ისე ჩაჰყვირა ვიღაცას, რომ ალბათ ყურის ბარაბანი გაუსკდა. კაბინეტში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. დევი პასუხობს – არა, შემდეგ, ოდნავ შერბილებულად – დევი (ალბათ ჰკითხეს, რა გქვიაო). შემდეგ კი მოჰყვა დევის ხალასი გაოცება და გულიანი სიცილი. კაბინეტში მოიხსნა დაძაბულობა. დევის შეცვლილი გუნება-განწყობილება სწრაფად გადაედო იქ მყოფ ოფიცრობას. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ როდესაც ქალბატონს (დამრეკავს) გაუგია სახელი დევი – გამომწვევად უკითხავს, მაინც, რამდენი თავი გაქვსო.

## რას ამბობენ კვდაბობები, თანამებრძოლები, მებობრები

### პრინციპული და მომთხოვნი

ჩვენი პირველი შეხვედრა შედგა 1991 წელს საქართველოს ახლადშექმნილი ეროვნული გვარდიის გორის მოტომსროლელ ბატალიონში. მაშინ დევი ასრულებდა ბატალიონის შტაბის უფროსის მოვალეობას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ იგი ძალღონეს არ იშურებდა დაკისრებული მოვალეობის პირნათელი შესრულებისათვის და მუდამ ერთგული იყო მხედრული ფიცისა.

დევი ჭანკოტაძე, ერთი შეხედვით, ტოვებს მიუყარებელი კაცის შთაბეჭდილებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში იგი არის ძალიან გულთბილი და კეთილი, იუმორის მოყვარული და რაც მთავარია – უღალატო.

დევიმ თითქმის თერთმეტი წელი იმსახურა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო შეიარაღებულ ძალებში და იქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება, შემდეგ წლებში, გაუზიარა და გადასცა თავის ქართველ თანამებრძოლებს და ახალგაზრდა თაობებს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ, დევი მისთვის ჩვეული ენერგიულობით შეუდგა მხედრული მოვალეობის შესრულებას უკვე ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში, რაც მას საფუძვლიან სიამაყეს ანიჭებდა.

საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობა კარგად ამჩნევდა დევის პროფესიონალიზმს, თავდადებას და დაუღალავი შრომის სურვილს და ცდილობდნენ მხარში ამოდგომოდნენ და გაემხნევებინათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ გენერლები ჯ. ჭუმბურიძე, ნ. დუმბაძე და ა. ცქიტიშვილი.

ღვეიმ მალე წაიწია წინ სამხედრო სამსახურში და ეს ასეც იყო მოსალოდნელი. მის სახელთან აკავშირებენ საარტილერიო საჯარისო ერთეულების (ბატალიონი, დივიზიონი, პოლკი, ბრიგადა) შექმნის, ტექნიკის აღდგენისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების ურთულეს პროცესებს.

ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ საქმეში ღვეი არის ყოველთვის მომთხოვნი, პრინციპული და, შეიძლება ითქვას, თავგანწირულიც.

ღვეისთვის დამახასიათებელია თავის თანამებრძოლებზე განსაკუთრებული ზრუნვა და მათდამი სამართლიანი დამოკიდებულება.

მეამაყება, რომ ღვეი ჭანკოტაძე ამაყად დგას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალიტეტის რიგებში.

გურამ კვიციანიძე

### თმახუჭუჭა ღვეიკო

ღვეიმ საშუალო სკოლის კარი პირველად ჩვენთან შემოაღო. ეს იყო 1967 წლის 1 სექტემბერი. სწორედ ამ დღეს გახდა ექვსი წლის. იგი სკოლაში დაჰყავდა ღედას, ქალბატონ ირინეს.

განათლებულმა ოჯახმა დიდი როლი ითამაშა ღვეის შემდგომი აღზრდისა და ფორმირების საქმეში. მაქსიმალური იყო ყურადღება მამის, ბატონი ვახტანგ ჭანკოტაძის მხრიდან, რამაც ღვეის სული და გული უხვად გაჟღინთა მშობლიური, მამაშვილური სითბოთი. შეიძლება ითქვას, რომ ღვეი სკოლაში ოჯახიდანვე განათლებული მოვიდა, რასაც თან დაერთო ის გარემოება, რომ მისი კლასის მასწავლებელი გახლდათ დაწყებითი განათლების პედაგოგი ქალბატონი ქეთევან ფურცელაძე, სახელოვანი გვარის ბრწყინვალე წარმომადგენელი, რომელიც მოსწავლეებს

ზრდიდა ეროვნული სულისკვეთებით.

ღვეი იყო ძალიან მოძრავი, სწრაფი და საკმაოდ ცელქი, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი სკოლაში მოუმზადებელი მოსულიყო.

ღვეიმ ოთხ წელს დაჰყო ჩვენთან სკოლაში და შემდეგ სწავლა გააგრძელა გორის მე-12 საშუალო სკოლაში.

დღეს ღვეი ჭანკოტაძე – ჩვენი სკოლის პედაგოგებისა და ყოფილი მოსწავლეების მეხსიერებაში თმახუჭუჭა პატარა ღვეიკოდ წოდებული – უკვე გენერალ-მაიორია, რაც დიდად გვეამაყება მის ყოფილ აღმზრდელებს.

ციალა მეხუხელა,  
გორის მე-6 სკოლის ყოფილი დირექტორი

### ვლოცავ მშობლიური გრძნობით

ღვეის პედაგოგი ვიყავი V-XI კლასებში და მრავალი, კეთილად მოსაგონარი მომენტიც მახსოვს მისი სწავლების პერიოდში.

ღვეი ჭანკოტაძის მიმართ ურყევი იყო ყველა პედაგოგის აზრი – ნიჭიერია! არ მახსოვს მის მიერ გაკვეთილზე დისციპლინის დარღვევის ერთი ფაქტიც კი. გაკვეთილების მიმდინარეობის პროცესში იგი სანიმუშო იყო. ღვეი დამამახსოვრდა ჭკვიანი თვალებით და კეთილი გამოხედვით.

ღვეის ძალიან იზიდავდა ტექნიკური საგნები და საერთოდ, გატაცებული იყო ტექნიკით.

ვფიქრობდი, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ, ღვეი გაჰყვებოდა ოჯახურ ტრადიციას და გახდებოდა ინჟინერი, მაგრამ ჩემი მოლოდინი (ამ საკითხში) არ გამართლდა. მან სამხედრო პროფესია აირჩია და როგორც შემდგომში გამოჩნდა – არცთუ უსაფუძვლოდ. იგი დღეს გენერალ-მაიორია და სიამაყის გრძნობით გვაძვებს როგორც მის ყოფილ პედაგოგებს, ისე საზოგადოების ფართო წრეების

წარმომადგენლებს.

განსაკუთრებული დაძაბულობით იყო ჩვენი გულისყური მიპყრობილი დევისკენ იმ უმძიმეს წლებში (1990-1994), როცა საქართველო თავგანწირვით იბრძოდა, ერთი მხრივ დამოუკიდებლობისათვის და მეორე მხრივ, ტერიტორიული მთლიანობისათვის.

დევიმ დაამტკიცა, რომ იგი არის სამშობლოს ღირსეული შვილი, მისი კეთილდღეობისათვის თავგანწირული მეომარი. მან ღირსეულად მოიხადა თავისი საბრძოლო ვალი მამულისთვის უმძიმეს წლებში და ახლაც მზად არის მტკიცედ იდგეს მის სადარაჯოზე. იმედი მაქვს, რომ წლების განმავლობაში შექმნილი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მიზანსწრაფულად მოხმარდება ახალგაზრდა თაობების სამშობლოს სიყვარულით აღზრდის კეთილშობილურ ეროვნულ საქმეს.

ამალია ხავაზიანი,  
დევის ყოფილი პედაგოგი

### მადლობა რაინდული სამსახურისთვის

ყოველ ადამიანს აქვს ოცნების უნარი და მე, როგორც მე-12 სკოლის დირექტორი, რომელშიც სწავლობდა დევი ჭანკოტაძე, ვნატრობ იმ დღის დადგომაზე, როცა გენერალ-მაიორი ეწვევა თავის მშობლიურ სკოლას, კლასს, სპორტულ დარბაზს, შეხვდება ყოფილ პედაგოგებს და ტკბილად გაიხსენებს სიჭაბუკის წლებს. გაივლ-გამოვივლის დერეფნებში, კაბინეტებში თუ ეზოში და გაიხსენებს მოწაფეობის იმ პერიოდს, საიდანაც ცოდნის ძლიერი ნათელი და უწრფელესი ლოცვა გაჰყოლია სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ და მისი კეთილდღეობისათვის თავგამოდებულ მეომარ გენერალს უკიდევანო ცხოვრების საიმედო მეგზურად.

მიმაჩნია, რომ დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო ადგას დემოკრატიული განვითარების გზას, როდესაც ქვეყნის მთლიანობის დაცვას სჭირდება ახალი ტიპის შეიარაღებული ძალების ფორმირება – დევი ჭანკოტაძეს შეუძლია კვლავ დიდი როლი ითამაშოს ახალგაზრდა მეომრების აღზრდის ეროვნულ საქმეში. ჩვენი სკოლა მადლიერების გრძნობით ალაღად თვლის ბატონ დევი ჭანკოტაძეზე გაწეულ ამაგს. უცხადებს მას მადლობას ეროვნული შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

დიდი მადლობა დევის სამშობლოს სადარაჯოზე რაინდული, სასახლო სამსახურისათვის.

ნოდარ იარლანაშვილი,  
გორის მე-12 სკოლის ყოფილი დირექტორი

### მუშგის მოშველიებაც ეხერხებოდა

დღეს ბედნიერად ვთვლი თავს, რომ სხვა პედაგოგებთან ერთად, მეც მიმიძღვის წვლილი გენერალ-მაიორის აღზრდაში.

დევი ჭანკოტაძეს 1973-77 წლებში ვასწავლიდი. საგანში ძალიან ძლიერი იყო, ოღონდ, როგორც თითქმის ყველა ბიჭს, წერა მაინცდამაინც არ უყვარდა. ხშირად ჩვენ კლასის დანარჩენ ნაწილთან რომ მათემატიკურ მოქმედებებს დაფაზე ვაკეთებდი – ის ზეპირად ასრულებდა რთულ ოპერაციებს. საერთოდ, უყვარდა ტექნიკური საგნები. იყო მეგობრული. მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში: „საქართველო“, „გორი“, „მამული“ და ა.შ. არასდროს იგრძნობოდა ცივი და მითუმეტეს, ყალბი ჟღერადობა. იყო ახლობელთადმი ერთგული. განსაკუთრებით მეგობრობდა თანაკლასელ ზ. ტაბატაძესა და ბ. ტელიატნიკოვთან, თუმცა არც სხვებისგან რჩებოდა განზე.

ნიშანდობლივია, რომ საჭიროების შემთხვევაში დევის

მკლავისა და მუშტის მოშველიებაც კარგად ეხერხებოდა. თავისი სიმართლე ბევრჯერ დაუცვია თავქებითა და სილაქებით.

ღევი, იმავდროულად, იყო უბრალო და უპრეტენზიო, რაც წინსვლის საფეხურებზე მის განუყრელ თვისებებს წარმოადგენდა.

ჩვენ, მის ყოფილ პედაგოგებს ძალიან გვახარებს ღევის სამხედრო კარიერის წარმატებულობა.

ჯემალ რევაზიშვილი,  
მათემატიკის მასწავლებელი

### ყველა გაჭირვებულის დამხმარე

ღევი ჭანკოტაძეს წლების განმავლობაში ვასწავლიდი სკოლაში. მას დიდი სიყვარული და პატივისცემა ახასიათებდა თავისი კლასელებისა და პედაგოგების მიმართ.

ღევი იყო ძალიან მეგობრული და ვაჟკაცური ბიჭი. გამოირჩეოდა სამართლიანობით და სიკეთით. იგი ყოველთვის მზად იყო გაჭირვებულის დასახმარებლად და არასდროს იხვედა უკან, ანგარებაზე საუბარი ხომ ზედმეტი იყო.

მომავალი გენერალი მისაბაძი იყო არამარტო შინაგანი ადამიანური თვისებებით, არამედ კარგი სწავლით. სკოლაშივე გამოიკვეთა მისი მიდრეკილება ტექნიკური საგნების, სამხედრო საქმისა და ფიზკულტურისადმი, რაც ცხოვრებაშიც მიზანმიმართულად გამოიყენა და განუყრელ თანამგზავრებადაც აქცია.

მე, როგორც მისმა პედაგოგმა, ადრევე შევამჩნიე ღევის პიროვნებაში ის ადამიანი, რომელსაც თავისი სიცოცხლისა და ცხოვრების უპირველეს მოვალეობად მიაჩნია სამშობლოს კეთილდღეობისათვის და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლა.

ბარაქალა, შენს ვაჟკაცობას, ჩვენო ღევი!

ბეჟან მანაგაძე,  
პედაგოგი



დავით ჭანკოტაძე (2000 წ.).





**დავის ბეულავა  
ლარისა მაღლაკალიძე**



**ქალიშვილი ანა**



**შვილიშვილი თეგური**



**ორი გენერალი. დავი ჭანკოტაძე (მარცხენივ) და სამხრეთკავკასიის  
ქალაქის სარდალი მამუკა ყურაშვილი ტერიტორიული  
მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა მემორიალთან  
საარტილერიო ბრიგადის ტერიტორიაზე.**



**დავი (მარჯვნიდან მესამე) თანამებრძოლებთან ერთად**

## ახალ დიდგორზე

(ღევი ჭანკოტაძისადმი)

ქრისტემ სულს მძლავრი აფრები მისცა,  
კვდებოდა ნისლი სუსხვა-წვალების,  
დიდგორის ველზე გასროლილ ისარს  
ბავშვი უმზერდა სულ სხვა თვალებით.  
ახლაც შევნოდა ხმლით მკლავის გაშლა,  
ვეფხვისტორება მეომარს სულგრძელს,  
მკერდზე ეხატა ჭრილობა ვაჟკაცს,  
არც ისიზმრებდა ნაისრალს ზურგზე.  
შუბის წვერებით მიწა გათოხნეს,  
ახლაცა გვზარავს ძველთა ნათხრობი,  
ქართლი არ გახდა ბილწთა სადოღე,  
„მრავალჟამიერს“ მღერდა მარტყოფი.  
მღეროდა სიბრძნის ღმერთი უძლევი,  
ვერ მოსპეს, ვერცა გაათიალეს,  
მზის, ისტორიის ერთი ფურცელი  
ცოცხალი მოწმე და მათიანე.  
მტლად ვექცევით მეც მამულს და მზეს,  
ფიქრი ამყნობდა მომქროლ ამ წამებს,  
ბავშვის ოცნებად მეწამულ ცაზე  
ახამხამებდა ოქროს წამწამებს.  
იმედს მამისას სინათლეს აღვრის,  
სხივი მაისის თვალს ათასს ახელს  
და სააკაძის სხივნათელ მახვილს  
ლოცვით ამაგრებს პაატას სახე.  
დღეს მღერის ვაზიც ვერშენამუსრი,  
ვერგაქელილი მტრული ნავარდით  
და ელვარება – ქართველის ნამუსი  
ბავშვს დროშად წაჰყვა თვისი ჯავარდნის.

კვლავ ჟღერს იმედის მომცემი ლექსი,  
რუსთველი აღმად ახლავთ თვით მგოსნებს  
და ახდენილი ოცნების მწყემსი  
დგას ღევი-კაცი ახალ დიდგორზე.

შ. სუხიტაშვილი,  
პოეტი, ჟურნალისტი

## ჩემო ღევი

(მეგობრულ ნოტაზე)

ბევრ სიძნელეს გაუძელი,  
ძალა მოგდევს ღევისა,  
არასოდეს გჭირდებოდეს  
აპარატი წნევისა.  
შენ სიკეთეს და კაცობას,  
ჩვენში ბავშვიც მღერისა,  
გენერლობას ველით ყველა –  
სამხრეების ფერითაც.  
ასეთია კაცის გული –  
სურვილი აქვს მეტისა,  
სიყვარული გქონდეს მუდამ  
მამისა და ღედისა.  
სულაც არ ვარ უმადური  
ცხოვრების და ბედისა,  
ნეტავ კიდევ ათი მყავდეს  
შენისთანა ჭედვისა!  
სიდიადე არ გაკლია,  
გული ღხენით მღერისა.

1999 წ.

## არტილერიის დევი ჭანკოტაძეს

არწივივით დაჰყურებ,  
გახურებულ ბრძოლის ველს,  
და ქვემეხს ეფერები,  
როგორც ქალის ბროლის ყელს.  
მტერი ბევრჯერ დააფრთხე,  
მეხისებრი ქუხილით.  
ტკივილად დაგრჩენია  
საქართველოს წუხილი.  
ბრძოლაც იცი, ქეიფიც,  
არ გეშლება წესები,  
ბიჭები დაგეზარდოს  
შენზე უკეთესები.

1993

### „რეზო, შე ძველო“

იღვა 1968 წლის შუა შემოდგომა. დევი და მამამისი სახლში არიან და გაკვეთილებს ამზადებენ. დევის, საერთოდ არ უყვარდა სხვისი დახმარება, მაგრამ მამას უარი ვერ უთხრა.

რეკავს ტელეფონი: „ბატონო ვახტანგ, ბიჭი შეგეძინათ“. მამამეილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დევი შეხტა და შეთამაშდა – რა კარგია, ძმა მყავსო.

იმავე საღამოს წავიდნენ სამშობიარო სახლში, მაგრამ არ შეუშვეს დედასთან და ახალშობილთან. წერილების მიწერ-მოწერით შეთანხმდნენ, რომ ბიჭს სახელად დაარქმევდნენ რეზოს (პაპის სახელს).

რამდენიმე დღის შემდეგ, დევი თავის მამასთან ერთად წავიდა დედისა და პატარა ძმის სანახავად. მამამ ფრთხილად აიყვანა ხელში კუპატივით შეფუთული ბიჭი და შესძახა: „რეზო, შე ძველო“!

დევიმ პიჯაკის კალთაზე მოქაჩა მამამისს და გაკვირვებულმა უთხრა: „რატომ ძველო, ის ხომ ახალია!“

## ეპილოგის მაგიერ

ერთი წელი არ არის, რაც გენერალი დევი ჭანკოტაძე დაინიშნა საარტილერიო ბრიგადის მეთაურად.

გრძნობს რა უმაღლესი მთავარსარდლისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელთა ყოველდღიურ აქტიურ მხარდაჭერას, იგი, მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა ბრიგადის კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებას, ტექნიკური ბაზების მოწოდებას და სრულყოფას, შეიარაღების სისტემის ახალ მოთხოვნათა დონეზე გადაყვანას, ინფრასტრუქტურის გაფართოება-განვითარებას, საბრძოლო და ყოფითი დისციპლინის განმტკიცებას, მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერის გაჯანსაღებას და ა.შ.

არ ივიწყებს, ბატონი გენერალი არც ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახებს და შეძლებისდაგვარად უდგას მათ მხარში.

გენერალი დევი ჭანკოტაძე კარგად იცნობს საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივებს, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ მშვიდობის დამყარებისა და დაცვისათვის მუდმივი სამხედრო და საბრძოლო მზადყოფნაა საჭირო; იცის და მზადაც არის მთელი თავისი შეგნებით, ცოდნითა და გამოცდილებით.

წიგნი მზად იყო გამოსაცემად, როდესაც კბილებამდე შეიარაღებული რუსი ოკუპანტების ე.წ. ელიტარული არმიები თავს დაესხნენ საქართველოს და გადათხარეს და გადაწვეს მისი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.

გენერალმა დევი ჭანკოტაძემ ამ უთანასწორო ბრძოლაშიც თქვა თავისი სიტყვა და მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მომხდურს. ლეგენდებს ყვებიან მისი პროფესიონალიზმისა და სიმამაცის შესახებ.

ვფიქრობ, ამ ისტორიული ბრძოლების შესახებ უფრო დეტალურად ისაუბრებენ ჟურნალისტები და სამხედრო ისტორიკოსები.




**ვაავ ნიკოლოზი  
(თაჯარიგის ავაკოვიჩი).**



**გაზიის ჭვა ვალვა  
გუსირიძე (არბილარიის  
უფროსი ლიბენანტი).**



**ჭვა რაზო (მაიორი)**



**გიკა ნიო (თაჯარიგის უფროსი  
ლიბენანტი, არბილარიისტი).**



**გიკა არბიროვი (აზიბანი,  
არბილარიისტი).**



**ახალწვეულთა ფიცის მიღების ცერემონიაზე.**



**საარტილერიო ბრიგადის დაფუძნების საზეიმო დღე (ღვენი წინა პლანზე, მარცხენივ).**



**საარტილერიო ბრიგადის დროშის  
ლოცვა-კურთხევა.**



**არტილერიის დღისადმი მიძღვნილ ალღუზზე.  
მარჯვნიდან მეორე განარალ-მაიორი ღვენი ჭანკობაძე. 2000წ.**



რაზე დაფიქრებულა ბრიგადის მეთაური?



მაო კე დუნის დროინდელი ჩინეთის არმიის ყოფილ  
გენერალთან სამსახურებრივი მივლინების დროს



შეგზულების დროს მეზობლებთან „გასვლით“ პურგარილვა.  
დგანან მარცხნიდან: ა. მისანაშვილი, ვ. ჭანკოტაძე,  
დ. ნადირაშვილი, ვ. გოჭაძე, დ. ჭანკოტაძე, კ. პრივალოვი.  
ჩამოქილები: რ. ტატუნაშვილი, მ. პარდოსანიძე.



ეროვნული არტილერიის დღის აღსანიშნავ შეიჯარებადულ  
აღლუშვა (დავი ჭანკოტაძე მარცხნიდან მეორე). 1998 წ.



**თავდასვის მინისტრის მოადგილე დ. სოსია საველე პირობაში ულოსავს მებრძოლებს არტილერიის დღეს (მარჯვნიდან პირველი – ტელევიზიის ჟურნალისტი გივი გაჭრაქაშ მესამე – დავი ჭანკოტაძე).**



**გენერალ-მაიორი დავი ჭანკოტაძე საფუძვალ მადიდანთან.**